



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 6 მაისი

დისციპლინური საქმე №102/20  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 17 სექტემბრის №102 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 ნოემბრის №102/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ სასამართლო პროცესი წარმართა კანონისადმი უპატივცემულობითა და აპელანტის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებით. სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით. ამასთან, იჩენდა აშკარა მიკერძოებას, რაც გამოიხატა შემდეგში:

1) მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. საქმეში მონაწილეობის უფლება მისცა -- -- მერიის მოხელეს, რომელსაც არ ჰქონდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება და უარი თქვა წარმომადგენლობის შემოწმებაზე.

2) საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ შესაგებლის წარუდგენლობის გამო არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებები. განჩინების (შესაგებლის სასამართლოში წარდგენის თაობაზე) კანონსაწინააღმდეგოდ შეუსრულებლობის გამო მოსამართლეს რეაგირება არ მოუხდენია, რაც ადასტურებს მოსამართლის არაობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. მოსამართლემ სასამართლოს სხდომაზე განაცხადა „რამი მჭირდება მათი შესაგებელი“... „შესაგებელი აპელაციაში არ მოაქვს. თუ უნდა მოიტანს თუ უნდა არა“...

3) გამოიჩინა ფავორიტიზმი და -- მერიის ადვოკატის ფუნქცია შეასრულა. კერძოდ, სხდომაზე განაცხადა, რომ „ძველი მუხლები რჩება ხანდახან, როცა შაბლონს აკეთებენ“, „რაც ეხება 180-ე მუხლს ეს მე როგორც ვატყობ ჩარჩენილია, ხომ ასეა“, „ვიდაცას რომ ჩარჩა მანდ ბოლოში რა მნიშვნელობა აქვს“, „არ ახდენს ეს არსებით გავლენას შედეგზე“, „180-ს დაანებეთ თავი ჩარჩენილია ამას გეუბნებით დარწმუნებით“...

4) საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის დანაწესი. კერძოდ:

ა) 5 თვემდე გააგრძელა საქმის განხილვის ვადა, თუმცა აღნიშნულ განჩინებაში არ განმარტა რატომ იყო რთული კატეგორიის საქმე. არ დაასაბუთა განჩინება.

ბ) არ დაიცვა სხდომის შედეგის წესები. ოქმში არ არის ასახული კომპაქტ დისკების ნომრები. სხდომის ოქმში არ ჩაწერა თუ რის შესახებ არის დაყენებული ორი შუამდგომლობა, ხოლო მესამე შუამდგომლობა, რომლის საფუძველზეც მოსამართლემ 13:51:15 საათზე გამოიტანა საოქმო განჩინება, სხდომის ოქმში საერთოდ არ არის ასახული. სხდომის ოქმში არ მიუთითა, რის საფუძველზე მიიღო მოსამართლემ საოქმო განჩინება. შესაბამისად, საოქმო განჩინება არ არის დასაბუთებული.

1.2. მოსამართლე იჩენდა უპატივცემულობას სასამართლო სხდომის მონაწილე პირების მიმართ, რადგანაც სხდომა დაიწყო 1 საათის დაგვიანებით, რითაც რთული საქმის განხილვის დრო შეგნებულად გაანახევრა და ამასთან, სხდომა დაიწყო გაფრთხილებით, რომ მას ბევრი დრო არ ჰქონდა და აჩქარებდა მხარეებს. მოსამართლემ გამოიყენა ფრაზები „ძალიან ნუ დამაგვიანებთ“, „შემდეგ შემდეგ“ „ძალიან მოკლედ ხალხი მელოდება“. აღნიშნულით მოსამართლემ შეგნებულად წაართვა მხარეებს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა და არ დაიცვა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

1.3. მოსამართლემ წინასწარ გაამჟღავნა განსახილველი საქმის შედეგი. აღნიშნულს საჩივრის ავტორი ასაბუთებს იმით, რომ სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა: „განუხილველად დატოვება კი არ ნიშნავს, რომ საერთოდ მოვიდა განცხადება, გვერდზე გადადო და არ ვიხილავ, ჯერ უნდა განიხილო და მერე განუხილველად დატოვებაზე უთხრა უარი. ეს არის პროცედურულად.“ მოსამართლის ქცევიდან და უკანონო მოსაზრებებიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ მოსამართლე მერიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას არ აპირებდა და საქმე გადაწყვეტილი ჰქონდა წინასწარ მოპასუხემ მხარის სასარგებლოდ.

1.4. მოსამართლე ჩაერია სხვა სასამართლოს საქმიანობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ სხდომაზე განაცხადა „მოგებული გაქვთ ეს პროცესი“, ამ საქმეზე გადაწყვეტილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს იმ საქმეზე მიმდინარე დავასთან მიმართებაში“. აღნიშნულით მოსამართლე დაუფარავად ჩაერია სხვა სასამართლოს საქმიანობაში, რომელიც მისი განსჯადი არ იყო.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ მიიღო უკანონო, არაობიექტური და დაუსაბუთებელი განჩინება. აღნიშნულს საჩივრის ავტორი ასაბუთებს შემდეგი გარემოებებით:

1) მოსამართლემ არ განიხილა -- -- №-- ბრძანების კანონიერების ფორმალური საფუძველები. -- -- მერიის №-- ბრძანების უსაფუძვლოდ ძალადაკარგულად გამოცხადებით მოსამართლემ აპელანტებს უკანონოდ შეუზღუდა და წაართვა უფლება დაიცვან მათი კანონიერი უფლებები საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს უკანონოდ გაუხსნა გზა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით აღსრულონ -- გამგეობის 2017 წლის 04 მაისის უკანონო ბრძანება. მოსამართლემ არ განმარტა რას ნიშნავს „იურიდიული ძალის არ მქონე“, არ განმარტა სასამართლო გადაწყვეტილებაში განხილული -- გადაწყვეტილებებიდან რა საფუძველით გამოარჩია მხოლოდ ერთი №-- ბრძანება და გამოაცხადა იურიდიული ძალის არ მქონედ.

2) მოსამართლის განჩინება არის დაუსაბუთებელი, აპელანტების არცერთი პრეტენზია არ არის განხილული. მოსამართლემ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვება პროცედურასთან გააიგივა, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პროცედურებს პირდაპირ ეწინააღმდეგება. მოსამართლემ არ დაასაბუთა რომელი კანონი ამლევდა ადმინისტრაციულ ორგანოს იმის უფლებას ორჯერ განეხილა ერთი და იგივე საჩივარი. აღნიშნულით მოსამართლემ დაადასტურა, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მიეღო არაობიექტური, დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2019 წლის 27 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს -- -- და -- --, მოპასუხე - -- -- მერიის მიმართ, მოსარჩელეებმა მოითხოვეს -- -- მერიის 2019 წლის 20 მაისის ბრძანების ბათილად ცნობა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება 2020 წლის 24 თებერვალს სააპელაციო წესით გაასაჩივრეს -- -- და -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2020 წლის 6 მარტის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში; საქმის განხილვა გაგრძელდა 5 თვემდე ვადით; მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტების ასლი და განესაზღვრა ვადა სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 7 დღე შესაგებლის წარსადგენად. აღნიშნული განჩინება -- მერიას გაეგზავნა 2020 წლის 11 მარტს და ჩაბარდა 13 მარტს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2020 წლის 16 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე №-- საქმის ზეპირი განხილვა დაინიშნა 2020 წლის 1 ივლისის 12:00 საათზე. -- სააპელაციო სასამართლოში 1 ივლისის სასამართლო სხდომა დაიწყო 12:55:16 საათზე და დასრულდა 14:34:57.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2020 წლის 1 ივლისის განჩინებით -- -- და -- -- შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს -- -- და -- -- 2020 წლის 11 აგვისტოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი.

2.2. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით, -- -- 2020 წლის 17 სექტემბრის №102 საჩივარზე, კანონიერების შემოწმების ნაწილში (1.5 პუნქტი) შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 1.1-1.4 ქვეპუნქტებზე მომზადდა დასკვნა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა 1.1-1.4 ქვეპუნქტებში მითითებულ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 ნოემბრის დასკვნა:**

-- -- 2020 წლის 17 სექტემბრის №102 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

**4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის ქმედება, რომელიც ამავე

ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და რომელიც მოსამართლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების შედეგია. ამდენად, აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, სადაც განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას“.<sup>1</sup>

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს აუცილებელია შესწავლილ იქნეს საჩივარში მითითებული გარემოებები.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით, ხოლო „ე.ა“ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედებებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძველით.

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.<sup>2</sup>

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძველით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.<sup>3</sup>

მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, მხარეთა

<sup>1</sup> სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

<sup>2</sup> „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99, §67

<sup>3</sup> მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24

[http://coalition.ge/files/analysis\\_of\\_the\\_judicial\\_liability\\_system\\_ge.pdf](http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf)

შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით.<sup>4</sup>

1) საჩივრის ავტორი მოსამართლის დისკრიმინაციულ ქმედებასა და სამოსამართლო უფლებამოსილების პირადი ინტერესით განხორციელებას უკავშირებს იმ გარემოებას, რომ მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი. საქმეში მონაწილეობის უფლება მისცა -- მერიის მოხელეს, რომელსაც არ ჰქონდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება და უარი თქვა წარმომადგენლობის შემოწმებაზე. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს ვინ შეიძლება იყოს წარმომადგენელი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარე სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტია, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო წარმომადგენლობა – ესაა პირის კანონით გარანტირებული შესაძლებლობა აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით.<sup>5</sup>

-- -- სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაცია თავის მხრივ დაკავშირებულია მთელი რიგი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებასთან, რომლებიც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით. სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება პირს შეუძლია დამოუკიდებლად. თუმცა, ამ უფლებების ეფექტურად რეალიზაციისათვის, შესაძლებელია ასევე სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირისათვის - წარმომადგენლისათვის მათი მინდობა. ამასთან, მარწმუნებლის საჭიროებიდან და სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმომადგენელს შეიძლება მიენიჭოს ამა თუ იმ მატერიალურ-სამართლებრივი ან საპროცესო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების ან ორივე მათგანის განხორციელების უფლებამოსილება.<sup>6</sup>

<sup>4</sup> „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 173, §183

<sup>5</sup> სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თ. ლილუაშვილი, მეორე გამოცემა, თბ. 2015, გვ. 119

<sup>6</sup> <http://library.court.ge/judgements/772015-09-08.pdf> გვ. 5



მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ სასამართლოს სხდომაზე იმსჯელა წარმომადგენლობის საკითხზე, შეამოწმა მხარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და მიიჩნია, რომ -- -- უფლებამოსილი იყო მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემოწმების ნაწილში შესაძლოა არსებობდეს შეუსაბამობა საპროცესო კანონმდებლობასთან, თუმცა აღნიშნული საკითხი თავისი არსით არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომას და არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ორგანული კანონით გათვალისწინებულ რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახეს.

2) საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ შესაგებლის წარუდგენლობის გამო არ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი მართალია ავალდებულებს მოპასუხეს წარადგინოს სასამართლოში შესაგებელი, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ შესაგებლის არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა იცოდეს თუ რა პოზიცია გააჩნია მოპასუხეს სადავო საკითხებთან მიმართებაში, ხოლო ორივე მხარის პოზიციის ცოდნა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ფაქტობრივად და სამართლებრივად სწორად გადაწყვიტოს საქმე. მართალია, ადმინისტრაციული პროცესი ავალდებულებს მხარეს წარადგინოს შესაგებელი სასამართლოში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ადმინისტრაციული პროცესი არ ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან რაიმე საპროცესო ღონისძიების გამოყენებას იმ შემთხვევისათვის, თუკი მოპასუხე მხარის მიერ შესაგებელი არ იქნება წარდგენილი, ან დაგვიანებით იქნება შეტანილი. კერძოდ, არ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი). აგრეთვე, აღნიშნული შემთხვევა არ განიხილება მტკიცებულებების წარუდგენლობად, რა დროსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი).

3) საჩივრის ავტორი ასევე უთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე და აღნიშნავს, რომ -- -- გამოიჩინა ფავორიტიზმი და -- -- მერიის ადვოკატის ფუნქცია შეასრულა. კერძოდ, სხდომაზე განაცხადა, რომ „მველი მუხლები რჩება ხანდახან, როცა შაბლონს აკეთებენ“, „რაც ეხება 180-ე მუხლს ეს მე როგორც ვატყობ ჩარჩენილია, ხომ ასეა“, „ვიღაცას რომ ჩარჩა მანდ ბოლოში რა მნიშვნელობა აქვს“, „არ ახდენს ეს არსებით გავლენას შედეგზე“, „180-ს დაანებეთ თავი ჩარჩენილია ამას გეუბნებით დარწმუნებით“...

მოცემულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ბანგალორის მეორე ღირებულებაზე, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6

მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (Fey v. Austria §28 და 30; Wettstein v. Switzerland, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (Pullar v. the United Kingdom, §32).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა, რომ სავარაუდოდ ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო სადავო აქტის სარეზოლუციო ნაწილში, რადგან სამოტივაციო ნაწილი სადაც ახსნილია გადაწყვეტილების მიღების საფუძველები საუბარი იყო 182-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე. შესაბამისად, მოსამართლემ მხარეს განუმარტა რომ სავარაუდოდ ეს იქნებოდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს მერიის ადვოკატის ფუნქცია არ შეუთავსებია, არ ყოფილა მიკერძოებული მერიის წარმომადგენლის მიმართ. მერიის წარმომადგენელს არაერთი კითხვა დაუსვა სადავო აქტთან მიმართებით მაქსიმალურად ცდილობდა საქმის გარემოებების მოკვლევას და მოსამართლის ქმედებები არა რომელიმე მხარისადმი ფავორიტიზმით, არამედ კონკრეტული საქმის გარემოებების მოკვლევით იყო განპირობებული.

4) საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის დანაწესი.

ა) კერძოდ, 5 თვემდე გააგრძელა საქმის განხილვის ვადა, თუმცა აღნიშნულ განჩინებაში არ განმარტა რატომ იყო რთული კატეგორიის საქმე. არ დაასაბუთა განჩინება.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვის ვადებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ამავ კოდექსის 285-ე მუხლი კი განსაზღვრავს განჩინების შემადგენელ ნაწილებსა და ყურადღებას ამახვილებს იმ შინაარსზე, რასაც განჩინება უნდა შეიცავდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- 2020 წლის 6 მარტის განჩინებით -- და -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში; საქმის განხილვა გაგრძელდა 5 თვემდე ვადით. აღნიშნული განჩინება შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს, რაც შეეხება მის დასაბუთებას, მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლსა და იმ სამართლებრივ ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც მიიღო საპროცესო ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება.

აქვე საპროცესო ვადაზე საუბრის დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ დაარღვია საქმის წარმოებაში მიღების 5 დღიანი ვადა, თუმცა საქმის განხილვა წარმოებაში მიღებიდან 3 თვესა და 24 დღეში დაასრულა.

ბ) საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ დაიცვა სხდომის შედგენის წესები. ოქმში არ არის ასახული კომპაქტ დისკების ნომრები. სხდომის ოქმში არ ჩაწერა თუ რის შესახებ არის დაყენებული ორი შუამდგომლობა, ხოლო მესამე შუამდგომლობა, რომლის საფუძველზეც მოსამართლემ 13:51:15 საათზე გამოიტანა საოქმო განჩინება, სხდომის ოქმში საერთოდ არ არის

ასახული. სხდომის ოქმში არ მიუთითა, რის საფუძველზე მიიღო მოსამართლემ საოქმო განჩინება. შესაბამისად, საოქმო განჩინება არ არის დასაბუთებული.

დადგენილია, რომ სხდომის ოქმში მიღებული ყველა საოქმო განჩინება ისმინება და ისევე, როგორც მიღებული განჩინებები დასაბუთებულია, მათ შორის აცილებაზე უარის თქმისა და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლად დაშვების საკითხებზე მიღებული განჩინებები, რომელთა დაუსაბუთებლობაზეც --- უთითებდა საჩივარში.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფორმალურად მოსამართლის ქმედებები არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს ან შეიცავს მცირე მნიშვნელობის საპროცესო დარღვევებს, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენაზე, რადგანაც ქმედებები არ ხვდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის ფარგლებში.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 1.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და განავითაროს სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა გაამყაროს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელსაც აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა სასამართლო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამავე პრინციპების 4.1 მუხლის თანახმად, მოსამართლისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, ხოლო ამავე პრინციპების 6.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწყევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საჭოს 2002 წლის №3 დასკვნის თანახმად, მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.<sup>7</sup>

მოსამართლეთა უნივერსალური ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, მოსამართლემ თავისი მოვალეობები უნდა შეასრულოს თავშეკავებულად და გაუფრთხილდეს სასამართლოსა და ყველა მონაწილე პირთა ღირსებას.<sup>8</sup>

მოცემულ შემთხვევაში მხარე უპატივცემულობად მიიჩნევს სხდომის 1 საათის დაგვიანებით დაწყებას. რასთან მიმართებითაც უნდა აღინიშნოს, რომ --- სააპელაციო სასამართლოში 1 ივლისის სასამართლო სხდომა დანიშნული იყო 12:00 საათზე, თუმცა დაიწყო 12:55:16 საათზე და დასრულდა 14:34:57. ამდენად, მართალია სხდომა დაიწყო 1 საათის დაგვიანებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხდომა გაგრძელდა 1:40 საათი. შესაბამისად, მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა დაეცვათ უფლებები და ესარგებლათ მართლმსაჯულებით.

<sup>7</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საჭოს, დასკვნა №3, 2002, პარ. 23

<sup>8</sup> <https://www.icj.org/wp-content/uploads/2014/03/IAJ-Universal-Charter-of-the-Judge-instruments-1989-eng.pdf>



საჩივრის ავტორი ასევე უთითებს, რომ მოსამართლემ სხდომა დაიწყო გაფრთხილებით, რომ მას ბევრი დრო არ ჰქონდა, რითაც მოსამართლემ შეგნებულად წაართვა მხარეებს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობა და არ დაიცვა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლემ სხდომა დაიწყო გაფრთხილებით, რომ დროულად დაეწყო მხარეებს კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა და საქმისათვის საჭირო ფაქტობრივ გარემოებებზე საუბარი, თუმცა აღნიშნული ფრაზები არ გამოხატავდა უპატივცემულობას. მოსამართლე ცდილობდა სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპის დაცვით მიეცა მხარეთათვის შესაძლებლობა დაეცვათ უფლებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აპელანტები თავისი გამონათქვამებით ცდილობდა მოსამართლის მდგომარეობიდან გამოყვანას, თუმცა მოსამართლე მაქსიმალური თავშეკავებით პასუხობდა აპელანტის ყველა გამონათქვამს.

4.3. დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება“ („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი). თუმცა ორგანული კანონი გამონაკლისის სახით ადგენს შემთხვევებს, როდესაც საქართველოს საპროცესო კოდექსი მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას მიაწინოს მხარეები დავის სავარაუდო შედეგზე (მაგ. მორიგების პირობების შეთავაზებისას).

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის შესაბამისად, „თავისი მოვალეობების შესრულებისას მოსამართლე თავისუფალია რაიმე შერჩევის, წინასწარ შექმნილი აზრისა თუ მიკერძოებისაგან.“ აღნიშნული მუხლის კომენტარების 56-ე აბზაცის მიხედვით, „მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი დამოკიდებულებისა და აზრის არა მხოლოდ არარსებობას, არამედ მის ასეთად აღქმასაც.“ იგივე კომენტარების 57-ე აბზაცი პირდაპირ იძლევა „წინასწარ შექმნილი აზრის“ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, „წინასწარ შექმნილი აზრი – ეს არის თვალსაზრისი, პოზიცია, რომელიც მსჯელობასა და დასკვნებზე ახდენს გავლენას და ხელს უშლის მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციების მიუკერძოებელ შესრულებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. თუმცა ამის ხელაღებით, ამგვარი დამოკიდებულების ხასიათის გაუთვალისწინებლად მტკიცება არ შეიძლება. თუ, მაგალითად, მოსამართლე უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ძირითად უფლებებს, ეს არ იძლევა საფუძველს, განვაცხადოთ, რომ მას მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს განსახილველი საქმისადმი, თუკი კანონი ნათლად და ცალსახად არ მოითხოვს სხვაგვარ მიდგომას.“

-- -- საჩივარში სწორედ აღნიშნული გადაცდომის ჩადენაზე უთითებს და აღნიშნავს, რომ სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა: „განუხილველად დატოვება კი არ ნიშნავს, რომ საერთოდ მოვიდა განცხადება, გვერდზე გადადო და არ ვიხილავ, ჯერ უნდა განიხილო და მერე განუხილველად დატოვებაზე უთხრა უარი. ეს არის პროცედურულად.“ მოსამართლის ქცევიდან და უკანონო მოსაზრებებიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ მოსამართლე მერიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას არ აპირებდა და საქმე გადაწყვეტილი ქონდა წინასწარ მოპასუხემ მხარის სასარგებლოდ.

აღნიშნულთან მიმართებით მოკვლევულ იქნა სასამართლოს სხდომის ოქმები, რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნებას ან რაიმე სახის მინიშნებას სავარაუდო შედეგზე მოსამართლის მიერ ადგილი არ ჰქონია. მოსამართლე ცდილობდა მოეკვლია საქმის გარემოებები, აეხსნა მხარეთათვის პროცედურები და პროცესი, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნებად.

4.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე ჩაერია სხვა სასამართლოს საქმიანობაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ სხდომაზე განაცხადა „მოგებული გაქვთ ეგ პროცესი“, ამ საქმეზე გადაწყვეტილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს იმ საქმეზე მიმდინარე დავასთან მიმართებაში“.

აღნიშნულით მოსამართლე დაუფარავად ჩაერია სასამართლოს საქმიანობაში, რომელიც მისი განსჯადი არ იყო, იკვლევდა ფაქტებს, რომლის გამოკვლევა მას არ ევალებოდა და ამავე დროს არ განიხილა ფაქტები და მერიის №-- ბრძანების უკანონობა, რომლის განხილვაც ევალებოდა მას.

დისციპლინურ გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით („საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> უხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი).

სასამართლო სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ მხარეებს განუმარტა, რომ სააკელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული სხვა დავა იყო არსებითი, რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც ცვლიდა მხარეთა სამართლებრივ მდგომარეობას. ამასთან, მხარეები თავად ცდილობდნენ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების მოსამართლისათვის მიწოდებას სხვადასხვა დროს განხილულ დავათა, თუ საქმის სხვა გარემოებების შესახებ. მოსამართლის მიერ სხვა კოლეგიის საქმიანობაში ჩარევის ფაქტი აუდიოოქმების მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა.

### **5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა -- -- დისციპლინური საქმის განხილვაში არ მიიღო მონაწილეობა, რადგან სხვა ინსტანციის სასამართლოში ამავე საქმის განხილვაში მიღებული აქვს მონაწილეობა და აღნიშნული საქმის ფარგლებში მის მიმართ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარდგენილია დისციპლინური საჩივარი.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის მეორე პუნქტისა და 75<sup>13</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75<sup>13</sup> მუხლის პირველი პუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №102/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი